თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2363974

ნომერი: AR1366532

თარიღი : 24.12.2015

გაცემის თარიღი : 04.01.2016

გაცნობის თარიღი : 04.01.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ლვოვი , N 20 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გოჩა ლაცაბიძე პ/ნ 01025003196
- თბილისი დიდი დიღომი III მ/რ კორ. 20 ბ. 54

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი AR1366532 24.12.2015 განცხადების პასუხად, გაცნობებთ შემდეგს:
კანდელაკის, ბუდაპეშტის, ისაკაძის, ოდიშელიძის, გაგარინისა და მგალობლიშვილის ქუჩებს შორის მოქცეული გეგმარებითი ერთეულის სამშენებლო განვითარებისთვის ჩატარდა წინა საპროექტო კვლევა, რომლის მიხედვითაც დადგინდა ამ და მიმდებარე ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთებისათვის ქალაქმშენებლობითი პარამეტრების მომატების და შენობა–ნაგებობების სიმაღლეების განსაზღვრის საკითხები. აღნიშნული წინა საპროექტო კვლევა განხილულ იქნა “ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს” 2015 წლის 26 მარტის #14 სხდომაზე, სადაც გადაწყდა დადებითად. ზემოაღნიშნული კვლევის მიხედვით მოცემულ ტერიტორიაზე განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გაზრდა შესაძლებელია მაქსიმუმ 1.8–მდე, ხოლო კ1 უნდა შენარჩუნდეს 0.5; გამომდინარე აქედან ქ. თბილისის მერის ბრძანებით მოცემული ტერიტორიის განაშენიანების კოეფიციენტი განისაზღვრა კ1–1.8;
რაც შეეხება მეზობელ მიწის ნაკვეთზე, ქ. თბილისში, ლვოვის ქ. #12-ში, 2015 წლის 21 სექტემბერს (ბრძანება # 2199563 განაცხადი AR1320687) გაცემული მშენებლობის ნებართვა გაზრდილი k2- კოეფიციენტს (k2=2.5), კვლევის გადამოწმების შედეგად, არგუმენტად მითითებული ფაქტი ვერ ჩაითვლება პარამეტრის მომატების წინაპირობად, რადგან მიმდებარე მიწის ნაკვეთისთვის მინიჭებული მაჩვენებელი კვლევის შესაბამისად არის განსაზღვრული ;

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.